

დანართი N -3-

თბილისი და რეგიონები

07-07-2021 წ.

აბონენტი _____

ადასტურებს, რომ ეთანხმება ქვემოთმოცემულ „აქციის“ პირობებს:**„აქციის“ დასახელება – "ინსტალაციის აქცია"****აქციის პირობები:**

1. აქციის პირობები ვრცელდება შემდეგ პირებზე / აბონენტებზე:

- 1.1. მომსახურების მიღების მსურველი პირები, რომლებიც რეგისტრირდებიან ცალკე მდგომ ოპტიკურ (GPON) ინტერნეტ მომსახურებაზე ან მომსახურების კომბინაციაზე, რომელიც მოიცავს ინტერნეტს;
 - 1.2. ოპტიკური (GPON) ინტერნეტ მომსახურების (ან მომსახურების კომბინაციის რომელიც მოიცავს ინტერნეტს) მიმღები აბონენტები, რომლებიც იმავე ანგარიშის ნომერზე იმატებენ სილქ ტვ მომსახურებას (ან მომსახურების კომბინაციას რომელიც მოიცავს სილქ ტვ-ს), ან სილქ ტვ მომსახურების დამატებით ერთვებიან ორმაგ შეთავაზებაში;
 - 1.3. სილქფონის მიმღები აბონენტები, რომლებიც იმავე ანგარიშის ნომერზე იმატებენ ოპტიკურ (GPON) სილქ ტვ მომსახურებას, ან ინტერნეტ და სილქ ტვ მომსახურებას ერთდროულად;
 - 1.4. DSL ინტერნეტ მომსახურების მიმღები აბონენტები, რომლებიც იმატებენ DSL სილქ ტვ მომსახურებას (ან სილქ ტვ-ის დამატებით ერთვებიან DSL სამმაგ შეთავაზებაში);
 - 1.5. ცალკე მდგომი ოპტიკური (GPON /P2P) სილქ ტვ მომსახურების (ან მომსახურების კომბინაციის/სპეციალური შეთავაზების რომელიც მოიცავს სილქ ტვ-ის) მიღების მსურველი პირები/მიმღები აბონენტები, რომლებიც რეგისტრირდებიან დამატებით STB-ზე (დამატებითი სააბონენტო წერტილი);
 - 1.6. ოპტიკური (GPON /P2P) მომსახურებ(ებ)ის მიმღები აბონენტები, რომლებიც იმავე ანგარიშის ნომერზე იმატებენ სილქ ტვ მომსახურებას და დამატებით STB-ს (დამატებითი სააბონენტო წერტილი).“
2. წინამდებარე დანართის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულ მომსახურებებზე რეგისტრაციის შემთხვევაში, აღნიშნული მომსახურებების ინსტალაციის ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებული იქნება შესაბამისი მომსახურებების სააბონენტო გადასახდელოში. 1.5. და 1.6. ქვეპუნქტებით განსაზღვრული აბონენტებისთვის, აქციის პირობები ვრცელდება მხოლოდ დამატებითი STB-ს (დამატებითი სააბონენტო წერტილი) ინსტალაციის ღირებულებაზე;
3. აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი განისაზღვრება **2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;**
4. აქციის პირობებით მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციის პერიოდი განისაზღვრება **2022 წლის 1 მარტის ჩათვლით;**
5. იმ შემთხვევაში, თუ პირი / აბონენტი დარეგისტრირდება აქციის პირობით და დარეგისტრირებული მომსახურებ(ებ)ის ინსტალაციამდე, აქციის პირობით რეგისტრაციის პერიოდის დასრულების შემდეგ, იმავე ანგარიშზე, დამატებით დაარეგისტრირებს ერთ ან რამდენიმე მომსახურებას (გარდა დამატებითი სილქ ტვ მომსახურებისა), ან პირი / აბონენტი ახალი მომსახურების დამატებით ერთვება სამმაგ შეთავაზებაში, აბონენტს შეუწყდება აქციის პირობებით სარგებლობის უფლება;
6. იმ შემთხვევაში, თუ ტექნოლოგიის ცვლილებაზე რეგისტრაციისას აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული, მოხდება მომსახურების წინამდებარე აქციის დანართით განსაზღვრული პირობებით რეგისტრაცია;
7. იმ შემთხვევაში, თუ მისამართის ცვლილებაზე რეგისტრაციისას აქციის პირობებით რეგისტრაციის პერიოდი არ არის დასრულებული და აბონენტი დაიმატებს პირველი პუნქტით განსაზღვრულ მომსახურებებს, მოხდება აღნიშნული მომსახურებების წინამდებარე აქციის დანართით განსაზღვრული აქციის პირობებით რეგისტრაცია.

შენიშვნა: _____

მზარეთა ხელმოწერები:

სს „სილქნეტის“ წარმომადგენელი _____

აბონენტი _____